

სწორების ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 246.

ხუთშაბათი, 19 აპრილი 1904 წ.

გაზეთის № 258.

მთვარის უუჩი

კუ-დე-მომასანას.

ესულ რუბერი მოელოდა თავის უფროს დას ანრიეტა ლეტორეს, რომელიც უნდა დაბრუნებულიყო შვეიცარიაში მოგზაურობიდან.

ლეტორე და იმისი ქმარი აგერა ხუთი კვირის წასულე-ბი იყვნენ. ანრიეტამ ნება მისცა ქმარს, წასულიყო თავის მამულში, კალვადოს, სადაც საქმისათვის იბარებდნენ, თითონ-კი რამდენისაზე დღით პარიეს დაბრუნდა თავის დასთან.

დღე უკვე იწყებოდა. ოთახი ბინდ-ბუნდით იყო მო-ცული. პატარა, ბურჟუაზულ გემოზე მოწყობილ სალონში იჯდა ქანი რუბერი, დაფანტული წიგნს კითხულობდა და ყოველ ხმაურობაზე აქეთ-იქით იუკრებოდა.

ბოლოს ზარის ხმა გაისმა და გამოჩნდა იმისი და, მთლად სამგზავრო ტანისამოსში გახვეული. იმ წამზე, არც კი შეუხედნიათ ერთმანეთისათვის, ჩაეკვრნენ ერთმანეთს და შესწყვეტდნენ ხოლმე კოცნას მხოლოდ იმიტომ, რომ ხელ-ახლა განეგრძობათ.

სანამ ანრიეტა პირბადესა და შლიაპას იხილდა, დაიწყეს ლაპარაკი, ჰკითხვდნენ ერთმანეთს უაზროთელობას, ოჯახ-

სა და თათს წერილმანებზე, ათას გვარ კითხვებს აძლევდნენ ერთმანეთს, სიტყვებს არ ათავებდნენ და ერთი სენიდან მეორეზე გადადიოდნენ.

სულ მთლად დაბნეულა. ქანა რუბერმა ზარი დაჰკრა, რომ სანათი აენთათ. როგორც კი შემოიტანეს სანათი და როგორც კი შეხედა თავის დას, ერთხელ კიდევ გადაეხვია და გადაჰკოცნა. მაგრამ ამის შემდეგ შემკრთალი და შემო-ნებული უსიტყვოდ დააქკერდა: ქან ლეტორეს საფეთქლე-ბზე თვალი მოჰკრა კარგა ბლომად გათეთრებულ თმას. სწევან თმა შავი და პრკევილა ჰქონდა; მარტო იქ, იმ ორ მხარეს, მოსანდა თეთრი თმა, თითქოს ვერცხლის ზოლებიო, რომელნიც იქვე შავ ნაწნავებში იკარგებოდა, ანრიეტას-კი ეს არის ეხლა შეუსრულდა ოცდა-ოთხი წელიწადი და თმაც გაუთეთრდა ეხლა, შვეიცარიაში წასვლის შემდეგ. ქალ-ბატონი რუბერი იღვა უძრავად და უტკეროდა დას შემო-თებული. იგი მზად იყო ეტრანა, იმდენად დიდი და საში-ნელი ეგონა დას უბედურება. ბოლოს ჰკითხა:


— რა დაგემართა, ანრიეტა?

ანრიეტამ მშუხარედ გილიმა, თითქმის ავადმყოფის მგავდად, და მიუგო:


— არაფერია, გარწმუნებ არაფერია. ჩემ კლარას უც-ქერი?

მაგრამ ქანმა რუბერმა მსწრაფლ ჩასვიდა მხრებში ხე-ლები, ჩააშტერდა თვალბში და გაუშეგო:







პორტ-არტურის ესკადრის კრეისერი „ნოვიკი“, საბალინთან იაპონელების მიერ დაღუპული.




კრეისერი „ჩირაკი“-ი, აღმ. კამიშურასთან ბრძოლაში დაღუპული.




კრეისერი „ბოჯაინი“-ი, პორტ-არტურთან ბრძოლაში დაზიანებული.




ჯაგენიანი გემი „პალტაევი“, 28 ივლისის ბრძოლაში დაზიანებული.




კრეისერი „პალადა“, პორტ-არტურთან ბრძოლაში დაზიანებული.




კრეისერი „ლიანა“, რომელსაც საივანში იარაღი აყვარეს.




ჯაგენიანი გემი „კობევი“, 28 ივლისის ბრძოლაში დაზიანებული.



კრეისერი „ასკოლ“-ი, რომელსაც იარაღი აყვარეს შანჰაიში.



ჯეჯვნიანი გემი „არტივტიზი“-ი, 28 ივლისის ბრძოლაში დაზიანებული.



ჯეჯვნიანი გემი „სტარტივიზი“-ი, 28 ივლისის ბრძოლაში დაზიანებული; იპარაი აპყარეს ცინდაოზი.


— რა დაგეგმართა? მითხარ, რა დარდი გაქვს? თუ იტყუებ, თვალზე შეგატყობ.

ისინი ერთი-ერთმანეთის წინ იდგნენ. ანრიეტას, მთლად გაფითრებულს, ცრემლები მოსდგომოდა თვალზე, და მალე იმეორებდა:

— რა დაგეგმართა? რა მოგვიღია? მიპასუბე?

ანრიეტამ დამნაშავეისა და შეწუხებულის სახით ჩაიჭურჩულა:

— მე... მე საყვარელი შეგეს...



„კონტარ-ნალიმანი გემი „გროზოვიტი“, რომელსაც იპარაი აპყარეს შანაპიში.“

ამ სიტყვების შემდეგ მივარდა დას, მაგრა ჩაებუტა მკერდს და შერადე აქეთიანდა.

შემდეგ, როცა ცოტა დამშვიდდა, როდესაც გული ისე აღარ უტემა, უტბად ლაპარაკი დაიწყო, თითქოს სურდა თავისი სიადუმლო თავიდან მოეშორებინა, გადაეცა თავის მეგობრისათვის.

მაშინ, მკლავი მკლავს გადახეულნი, დასხდნენ დები ზნელ კუნძულში საფარძელზე, უპკროსმა გულში ჩაიკრა უფროსი და გულმოდგინედ დაუგლო ყური იმის ნაამბობს.

* *

— ოჰ, კარგად ვიცი, რომ ღირსი არა ვარ არავითარ შემბარებისა და შენაწებისა. მე ვეღვარა ვცნობ ჩემ თავს და იმ დღიდან როგორც გიგი, ისე ვარ, ფრთხილად იყავ, ჩემო პაწია, გეშინოდეს და ერიდებოდე შენს თავს... რომ იცოდა, რასუსტები ვართ, როგორ აფვილად გეცემით. ყველა ამისთვის სულ მცირეა საჭირო: სულ უბრალო, უშინაშენილო რამ, ცოტა დარდი, სულის ყოფმანი, ტბილი აღერსი ან კაცია... ჩვენ ყველას დრო-გამომწეებით გვიზიადეს ხოლმე ამ გეირა რამ.

შენ ხომ იცნობ ჩემ ქმარს და იცი კიდევ, როგორ მიყვარს. მაგრამ ის უკვე მოყოფილი კაცია, დამჯვარი, ყველაფრის ამწრო-დამწონი. იმას არა ესმის-რა ქალის ნაზ გულის ცემისა. ის ყოველთვის ერთნაირია: მუდამ კეთილი და ზრდილი, მუდამ ილიმება, მუდამ უნააკლო ადამიანია. ოჰ, ზოგჯერ როგორ მინდა ხოლმე მტაცოს ხელი, ჩამიკრას მხლავერ მკლავებში და მკოცნოს გატაცებით, იმ დაუსრულებელის კოცნით, რომელიც ორ არსებას ერთად გადაატყვეს ხოლმე; ოჰ, როგორ მინდა, რომ თავ-დავიწყების მიეცეს ხოლმე, ზოგჯერ სუსტი იყოს, სწყურარდეს ჩემი აღერსი, ხვეწვა-კოცნა, ჩემი ცრემლები.

ყველა ეს სისულელე, მაგრამ ჩვენ ქალები ასეთნი ვართ. მაშ რა უნდა ვქნათ?

თუმცა ასეთ ტანჯვაში ვიყავ, მაგრამ არას დროს არ მომსვლია აზრად, რომ მეღალატა, მომეტყუებინა. ეხლა კი მოხდა ეგა... მოხდა უსიყვარულოდ, უმიზეზოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ მშვენიერი მთავარიანი ღამე იყო ლოუტერნის ტბაზე.

მთელი ერთი თვე ვმოგზაურობდით ერთად, და ჩემმა ქმარმა თავის გულგრილობით მთლად შეტუთა ჩემი აღფრთოვანება და აღტაცება. როდესაც შვის ამოსვლისს ვეშევე-

ბოლთ ფერდობებზე და ოთხ ცხენიანი დილიგენსი თავ დავიწყებული მიჰქროდა, როდესაც ჩვენ წინ ოდნავ გაფრთხილდის ისინილი იშლებოდა ღრმა ხეობები, ტყეები, მღინარები, სოფლები და მე ყველა ამით აღფრთოვანებული ტაშს უკრავდი და ვეუბნებოდი: „რა მშვენიერებაა ყველა ეს, ჩემო კარგო, მაშ მაკოცე მეტი!“ — ის ცივად გაილიბება და მეტყუიდა: „შენ რომ ეს სანახობა მოგწონდეს, ეგ კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენ ერთმანეთს უნდა ვკოცნათო.“ ეს სიტყვები ცივი წყალივით გადამესხმოდა ხოლმე. ყოველთვის ასე ვეგონა, რომ ზოდესაც ორ არსებას ერთმანეთი უყვარს, ეს საყვარელი თან-და-თან უფრო უნდა ძლიერდებოდეს, მეტადრე მაშინ, როდესაც თვალწინ მომხიზლავი სურათი ეშლებათ.

ერთხელ, საღამოთი (ჩვენ უკვე ოთხი დღე ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით ფლიუსტენს), საღლის შემდეგ რობერტი ცოტა უტყეოდ გახდა და თავის ოთახში წაიდა. მე მარტოდ-მარტო სასტუმროდ გავემართე ტბის ნაპირს.

ზღაპრული ღამე იყო. მთლად გაბადრული მთავარეცის შუა გულიდან გამომიყურებოდა. თოვლით დაფენილი მაღალი მთები ვერცხლისებრ ელვავებდნენ. მღელვარე წყალი ბრწყინვალე ტალღებით სტურავდა. თბილი ნიავი უბერავდა, ისეთი, რომელიც უმიზეზოდ თავ-დავიწყებამდის მიგვიყვანს ხოლმე, როგორ მერწამობიერია იმ დროს სული და გული და როგორ ადივლოდ ღელდება ხოლმე!..

ხალაღოდ დავჯექ და დაუწყე ცქერა ჩაფიქრებულს და გაყურებულს მშვენიერ ტბას. რაღაც მომიღოდა, რაღაც არა ჩვეულებრივი მეგობრებოდა: აძიბები საშინელი სურვილი საყვარულსა და რაღაც ბრაზი ჩემ მიყურებულ ცხოვრების წინააღმდეგ. ნუ თუ მთავარიან ღამეს, ამ ტბის ნაპირებზე, არც ერთხელ არ გავივლი საყვარელ კაცთან ხელი-ხელ გაკრილი? ნუ თუ ახასადეს არ მოხდება, რომ ვიგარბო ის ხანგრძლივი, მშვენიერი და გაგვიტევი კოცნა, რომლითაც აჯილდოებენ შეყვარებულნი ერთმანეთს წყნარ ღამებში, იმ

ლამეგში, რომელიც თითქოს თვით განგებას აღერსისა და სიყვარულისათვის შეუქმნია? ნუ თუ არაივინ არ ჩამკრავს გულში თავ-დავიწყებამდის მშვენიერ მთვარიან ლამეში?

და გივითი მოვეყვი ქვიითის.

რალაქ ხნაურობა მომესმა. ვილაკ კაცი იღვა და მიცქეროდა. როდესაც მივიხედე, მიცნო. მომიხლოვდა და მკითხა:

„ნუ თუ სტირით?“ ახლად მოსული ის ახალგაზდა ვეჭილი იყო, რომელიც დედასთან ერთად მოგზაურობდა და ჩვენც ამდენჯერზე შეგვხვდა. იმისი თვალები ხშირად დაკვირვებით მიცქეროდნენ.

ისე აველდი, რომ აღარ ვიცოდი, რა მეთქვა ან რა მექნა. წამოდდე და მხოლოდ ის მოვახერხე, რომ შეუძლოდა ვარ-მეთქი. გვერდით ამომიღვა და ერთად წავიდით. ყმაწვილ კაცს ზრდილობიანად ეჭირა თავი და ჩვენს მგზავრობაზე ლაპარაკობდა. მიაშო თავის შთაბეჭდილებანიც და ვადმოძეცა ყველა ის, რაც მე ვიგებენ. ყველაფერი ისე ესმოდა, როგორც ვე, თითქმის ჩემზე უკეთესადაც. და მოულოდნელად წაიკითხა ლექსი, ამასთან მიუსხსნა ლექსი. სული

საამდროო ასტრონომი



ტატი (ქალს) მოწულებო ქალბატონო! თუკან ამ ბაღის უზარეულესი ვრსყლაკა ბრანდებთ. რადგან შე აღმოცანი-ნეთ, მსყრს ჩემი სსხელი ატროთ.

რაღ შეგებმა იმის... იგი ვნახე მეორე ღღეს, როდესაც ავბარგდით და მივდიოდით.

მან თავისი საღარბაზო ბართი მომცა!...

**

ქანი ლეტორე ეხვეოდა თავის დას და ოხრავდა და იტანჯებოდა.

მაშინ ქმა რუბერმა მოიკრიბა ფიკრები და წყნარად სთქვა:

— აი რა, ჩემო დამო: ხშირად, ძალიან ხშირად აღდამიანი კი არ გვიტაცებს, სიყვარული გვიტაცებს და გვიზიდავს: იმ ღამეს ნამდვილი შერი საყვარელი მთვარის შუქი იყო.

ოღბეე.

ტელეფონთან გახატება



ქალი. ხომ გემრიელი სსუშულია? გემრიელი უნდა იფის, რადგან შენდამი სიყვარულთ შეკასავე.
კაცი. ამიტომაც ძნელი მოსასწებელია!..

— ღმერთს ვფიცავ, ტელეფონი რომ არ მეტოვებოდა, ისეთ სიღას გატანჯვით, რომ სსუშულად მოდ დაგეყუებდი ტელეფონით ღამასკ.

რედაქორ-გამომცემელი ალ. ჯაბაღარი.